

**აივ ინფექციის/შიდსის მართვა
(მოსარგებლეთა გზამკვლევი)**

შიდსი ნელა პროგრესირებადი ინფექციური დაავადებაა. მას იწვევს ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ). ვირუსი ადამიანის ორგანიზმში შეჭრის შემდეგ აზიანებს ორგანიზმის იმუნურ (დამცველ) სისტემას და მწყობრიდან გამოჰყავს იგი, რის შედეგადაც ინფიცირებულ პირს ადვილად უჩნდება სხვადასხვა ინფექციური ან/და სიმსივნური დაავადება. თანამედროვე კლასიფიკაციით, აივ ინფექცია ეწოდება დაავადებას ვირუსით ინფიცირების მომენტიდან სიცოცხლის ბოლომდე, ხოლო ტერმინით „შიდსი“ აღინიშნება აივ ინფექციის ის სტადია, როდესაც ავადმყოფს უვითარდება დაავადების გარკვეული კლინიკური ნიშნები და/ან იმუნური სისტემის მძიმე დაზიანება. „შიდსი“ იშიფრება როგორც შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი.

აივ-ინფექციის/შიდსის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარს შეუძლია მიიღოს ამბულატორიული და ჰოსპიტალური სამედიცინო მომსახურება, ასევე შიდსის სამკურნალო (ანტირეტროვირუსული) მედიკამენტები.

სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ანაზღაურდება სრულად და არ ითვალისწინებს თანაგადახდას პაციენტის მხრიდან.

პროგრამის მოსარგებლეები არიან:

✓ საქართველოს მოქალაქეები;

ამასთან, მკურნალობისათვის საჭირო სპეციფიკური ანტირეტროვირუსული მედიკამენტების მოსარგებლეები შეიძლება იყვნენ:

ა) საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები, ასევე აღნიშნული სტატუსის მამიებელი პირები, შესაბამისი სტატუსის მოპოვებამდე საჭირო პროცედურების განხორციელების ეტაპზე;

ბ) საქართველოში დროებითი ბინადრობის ნებართვის მქონე სტუდენტის სტატუსის მფლობელები, რომლებიც სწავლობენ საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პრობაციონერები (სანამ მოეხსნებათ პრობაცია და დატოვებენ ქვეყანას);

გ) საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ უცხო ქვეყნის დიპლომატიურ მისიებში დასაქმებული პირები;

დ) საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი კორონავირუსით ინფიცირებული პირები, მოქალაქეობის მიუხედავად;

ე) აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფი მოსახლეობა მოქალაქეობის მიუხედავად.

- ✓ პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი პირები;
- ✓ მაღალი რისკის ჯგუფები (ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები და მათი სქესობრივი პარტნიორები, მამაკაცები რომლებსაც აქვთ სქესობრივი კავშირი მამაკაცთან (მსმ), ტრანსგენდერი პირები, პირები, რომლებსაც აქვთ სქესობრივი კავშირი რაიმე სახის ანაზღაურების მიღების მიზნით (სექსმუშაკი) და მათი კლიენტები) პროგრამული სერვისის მისაღებად, არ საჭიროებენ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენას და სარგებლობენ 15-ნიშნა დაშიფრული კოდით.

პროგრამის ფარგლებში შემდეგი სერვისებია ხელმისაწვდომი:

- აივ-ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება;
- აივ-ინფექციით/შიდსით დაავადებულთა ამბულატორიული მომსახურება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება:
 - პაციენტის პირველი ვიზიტი;
 - პაციენტის განმეორებითი ვიზიტი;
 - ოპორტუნისტული ინფექციების მკურნალობა (მძიმე, საშუალო, მსუბუქი). ევროპის რეგიონისთვის ყველაზე ხშირი ოპორტუნისტული ინფექციებია: ტუბერკულოზი; ბაქტერიული ინფექციები; პნევმოციტური პნევმონია; ჰერპესული ინფექციები; კანდიდოზური ეზოფაგატი; კრიპტოკოკული მენინგიტი; ტოქსოპლაზმოზი. შედარებით იშვიათ ოპორტუნისტულ ინფექციებს და სიმსივნეებს მიეკუთვნება: ატიპიური მიკობაქტერიოზები; კაპოშის სარკომა; არაჰოჯკინის ლიმფომა; ციტომეგალოვირუსული ინფექციები;
 - ინსტრუმენტული დიაგნოსტიკა;
 - C ჰეპატიტის მკურნალობის მონიტორინგი;
 - ანტირეტროვირუსული (შიდსის სამკურნალო) მკურნალობის მონიტორინგი;
 - აივ რეზისტენტობის (აივ მდგრადობის) განსაზღვრა;
 - პრეექსპოზიციური პროფილაქტიკა (აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის მეთოდი მაღალი რისკის მქონე ადამიანებში, რომელიც გულისხმობს სამკურნალო პრეპარატის მიღებას და გამოირჩევა აივ ინფიცირებისგან დაცვის მაღალი ხარისხით);
 - პოსტკონტაქტური პროფილაქტიკა (ანტირეტროვირუსული პრეპარატების მოკლე კურსი, რომლის მიზანია, აივ ინფექციის განვითარების რისკის შემცირება ექსპოზიციის შემდეგ);
 - აივ ინფიცირებულ პირთა ბინაზე მოვლა;
 - ექიმის ვიზიტი პაციენტთან;
 - აივ/შიდსით დაავადებული დედის ახალშობილის კვება (გაიცემა ერთჯერადად).

- აივ-ინფექციით/შიდსით დაავადებულთა სტაციონარული მომსახურება-საშუალო, მძიმე და კრიტიკულ შემთხვევაში;
- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (სიფილისი, ქლამიდია, გონორეა და ტრიქომონიაზი) დიაგნოსტიკა და მკურნალობა აივ-ინფექციის/შიდსის მქონე პირებსა და მაღალი რისკის პირებში;
- აივ-ინფექციის/შიდსის პრევენცია ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში, მსმ-ებში, ტრანსგენდერ პირებში და კომერციულ სექსმუშაკ ქალებში;
- აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფი მოსახლეობის უზრუნველყოფა აივ ინფექციის/შიდსის სამკურნალო მედიკამენტებით.

მომსახურების მისაღებად, მოსარგებლემ უნდა მიმართოს შემდეგ სამედიცინო დაწესებულებებს: ს.ს. ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრს (თბილისი); შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალურ ცენტრს" (ბათუმი); ს/ს "იმერეთის სამხარეო ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრს" (ქუთაისი); შპს "ზუგდიდის ინფექციურ საავადმყოფოს" (ზუგდიდი).

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ სამინისტროს ცხელ ხაზზე 15 05